



წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, ეროვნული მუზეუმიდან  
გათავისუფლებულების ინტერესებს სოციალური  
სამართლიანობის ხანტარი და საია დაიცავს

**წულუკიანის დანიშვნის შემდეგ,  
ეროვნული მუზეუმიდან  
გათავისუფლებულების ინტერესებს**

# სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია დაიცავს

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად თეა ნულუკიანის დანიშვნის შემდეგ ეროვნულ მუზეუმსა და მის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში მასშტაბური საშტატო ცვლილება დაიწყო, რის შედეგადაც 10 თანამშრომელი თანამდებობიდან გათავისუფლდა. მიგვაჩნია, რომ პროცესმა არა მხოლოდ ხელმძღვანელობისთვის არასასურველი ვადრების ჩამოშორების სახე მიიღო, არამედ გამოაჩინა ისიც, რომ ამ გადაწყვეტილებების მიზანი სამუზეუმო სფეროს კონტროლი და ცენზურაა. ორი დასაქმებულის ინტერესს სოციალური სამართლიანობის ცენტრი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს. ორგანიზაციებმა უკვე მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და თანამდებობიდან გათავისუფლების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობებზე აღდგენა და ერთ-ერთის შემთხვევაში განსხვავებული მოსაზრებების გამო პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა მოითხოვეს.

ათიდან რვა დასაქმებული თანამდებობიდან გაფრთხილების გარეშე გაუშვეს, ან გადაიყვანეს სხვადასხვა დაბალ პოზიციაზე, ორს კი ხელშეკრულების ვადა ამოწურა და აღარ გაუგრძელეს, რაც ჩვენი შეფასებით, დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებაა. საია და სოციალური სამართლიანობის ცენტრი სასამართლოში იცავენ ეკატერინე კიკნაძისა და დინარა ვაჩნაძის ინტერესებს. ეკატერინე კიკნაძე ეროვნული გალერეის მმართველის პოზიციიდან გაათავისუფლეს და მისი თანხმობის გარეშე ლაბორანტის პოზიციაზე გადაიყვანეს. ამის სავარაუდო მიზეზი გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებების გაჟღერება იყო, რის გამოც იგი მუზეუმში მიმდინარე მთელ რიგ მნიშვნელოვან პროცესებს ჩამოაშორეს. დინარა ვაჩნაძეც, რომელიც თბილისის კოლეჯციების აღრიცხვა-დაცვისა და მართვის სექტორის მიმართულების ხელმძღვანელი იყო დაუსაბუთებლად დააქვეითეს და გადაიყვანეს რიგითი მეცნიერ თანამშრომლის პოზიციაზე. სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია მიიჩნევენ, რომ მოსარჩელების მიმართ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღება კანონმდებლობისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების უხეში დარღვევით მოხდა.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



აღსანიშნავია, რომ „მუზეუმის“ დირექტორად დაინიშნა ნიკა ახალბედაშვილი - იურისტი, რომელიც მანამდე თეა წულუკიანის მინისტრობის დროს იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა. საკადრო ცვლილებებს კი საფუძვლად დაედო ახალი საშტატო განრიგი, რომელიც სწორედ მუზეუმის ახლად დანიშნული დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე ამოქმედდა და მოსარჩელეთა მიერ დაკავებულ თანამდებობები ფორმალურად გაუქმდა..

სოციალური სამართლიანობის ცენტრი და საია მიმდინარე საქმის წარმოებისა და შედეგების თაობაზე საზოგადოებას პერიოდულად მიაწოდებენ განახლებულ ინფორმაციას.